KA030179848452820

№ 01-2760 **31 / მარტი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს, ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მოადგილის თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად (2019 წლის 21 მაისის N01/5097 წერილი), ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონბტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გლობალური ფონდის ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის პროგრამის ფარგლებში შეძენილია კომპიუტერული ტექნიკა: 90 ლეპტოპი, 815 დესკტოპი (All in One) და 815 კვების წყარო.

აღნიშნული კომპიუტერული ტექნიკა, გლობალური ფონდის ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის პროგრამების განხორციელების ვადით, დროებით სარგებლობაში გადაეცა სსიპ "საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს" "სოფლის ექიმის" სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი ექიმებისთვის გადასაცემად ტუბერკულოზის, აივ-ინფექციის, C ჰეპატიტის სკრინინგის და დღესდღეობით, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციების (COVID-19) პირველადი ჯანდაცვის დონეზე პრევენციისა და მართვის, ანგარიშგების და სასწავლო რესურსებთან ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით.

ასევე, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ სსიპ "საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს" გადაეცა 90-მდე ლეპტოპი სოფლის ექიმებისთვის გადასაცემად (46 ერთეული უკვე დაურიგდა სამეგრელო-ზემოსვანეთის რეგიონში მომუშავე სოფლის ექიმებს).

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს მიმდინარე წლის 10 აპრილამდე უზრუნველყონ ზემოაღნიშნული კომპიუტერული ტექნიკის სოფლის ექიმებისთვის გადაცემის ორგანიზების ტენიკური და იურიდიული საკითხები.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველი მოადგილე

თამარ გაბუნია